


რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მურან-ბაჯონის სასტუმრო კვლავის ქვემოთ.

სედი-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცნობურებათათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ, въ редакцію «Дროба»

«დროების» ფასი  
თბილისის წლისა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან.  
ქვესის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.



ბაგოდის ქოველ დღე ორშაბათს მართა.

შასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართული რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საქართვებ მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამომავალი წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბუნებს ეგვიტს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკა

ხვალ, დღესასწაულის ბაგოდ, «დროება» არ გამოვა.

მიიღება სედი-მოწერა კა-სეთ

„დროებაზედ“

პირველის სექტემბრიდან წლის დამლევაძდე. ფასი ოთხი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისა-სთვის საბი მანათი.

«დროების» ნომრები თითო-სურნად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღა-სიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამ-ბაქოს მაღაზიაში,

ღუშეთში, კაბო ბაძაროვ-თან.

კორში, საზოგადოების დე-პოში, ადამო თუთაყვთან.

აქვე მიიღება სედი-მოწერა.

ტალუკრაგვი

(«ჩრდილოეთის საავტენციკოსია».)

12 სექტემბერს.

პატივპაშა. გაძრიელებული მეთავალ-ყურების (усиленная охрана) დებულება ერთს წელიწადს კიდევ უნდა იყოს შეტერბურდ-ში.

კრემენჩუგში გახსნეს განყოფი-ლება სახელმწიფო ბანკისა. ოქ-ტომბრის ნახევარში მიწის წარ-მოების და სასოფლო მრეწველო-ბის დეპარტამენტში გაიხსნება კომისია კასპიის თევზის და ზღვის ძაღლის (ТЮЛЕНЬ) ნადირობის წესდების განსახილველად, რომელიც მიიწვევენ ზოგიერთა მკოდნე პირებსა ვოლგის თევზის მოვაჭრეთაგან; დეპარტამენტი სთხოვს, ვისაც ეს საქმე შეეხება, წარმოადგინონ ნამდვილი ვრცე-ლი ცნობანი და მოსაზრებანი.

გაზეთები იუწყებიან, რომ მიწის წარმოების წარმატებისათვის, პუ-რის ყიდვის და პირუტყვთა მო-შენებისათვის არხანგელის და ვო-ლოგდის გუბერნიებში ფიქრო-ბენ კერძო მიწის მფლობე-ლობა დააწესონ; აგრეთვე სდგე-ბა პრექტი, სხვათა შორის, იმა-ზედ, რომ ნება მიეცეს კერძო პირებს სასაზინო ტყეებში ახრები

გააკეთონ და სახნავ-სათესად გარ-დასაქციონ.

რევილი. გრიგალმა ბევრი ვნე-ბა მოახდინა; ეკატერინის დაკულს ტუემი (паркъ) 700 უმველებული ხე ძირიანად ამოავდო; ხალხი უვედგან გადაარჩა; რეველმუტი-ნის მცურავი კანდელი (маякъ) 50 ვერსზე გაიტანა.

ლკოპი. გუშინდელს გალიციის სეიმის სხდომაზედ რუსინის დე-პუტატმა რომანჩუკმა წარმოასტკვა რუსინების პოლიაკებთან შერიგე-ბის საჭიროება; ჩარტორიჟის მთა-ვარმა, უპასუხა რა რომანჩუკს, ურჩია რუსინებს მარტო სიტყვას არ დასჯერდენ და განსაზღვრე-ლი ჭორმითაც გამოაცხადონ თა-ვიანთ სურვილი.

რკმი. უველა სახელმწიფოთ მი-იღეს იტალიის წინადადება შესა-ნებ ხალხთა-შორის საინტარული განჭერენციისა, რომელიც ნომე-ბერში შეიკრიბება აქ.

სამარა. სკადეს ვოლგის ჩად-რმაგება ბიკოვის იარადით, რომელიც შესდგება რამდენიმე რკი-ნის ფოცხის წუობილებისაგან, და აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია დღეში ორ მეოთხედამდინ ჩად-რმაგება; ხარჯი მარტო იმ ორ-თქლის გემის შენახვაზე მიდის, რომლითაც იარადს ატარებენ.

ასკმი. აქ გაიმართა სასოფ-ლო-სამეურნეო გამოფენა.

ხარკმი. აქ იკრიბებიან საერო-ექიმები.

კონსტანტინოპოლი. სულთანის მდივანი რეშიდ-ბეი გერმანიაში მი-დის.

ბარლინი. ესპანიის მეფე შლეზ-ვიგ-ჰოლმუტიენის უღანის პოლ-კის შეჭად დაინიშნა.

პატივპაშა. იმპერატორმა ვილ-ჰელმა მიიღო დიდებულად სულ-თანის ელჩი მურთარ-ფაშა.

პატივპაშა. იუსტიციის მინის-ტრი მოვიდა და თავის თანამდე-ბობათა აღსრულება დაი-ყო.

«ნოვოვერემისა» გაუგონია, რომ რევიზიებს ქალაქის გამგეობათა ანგარიშებში დაუდევრობა გამოუ-შკარავებით და, ამისაგამო, სდგე-ბა ახალი ერთგვარი რიგი ანგა-რიშის წარმოებისა უველა გამგეო-ბათათვის და ამ წესების შეესრე-ლებლობისათვის პასეხს აგებენ თავი და ხმობენ.

თბილისი, 13 სექტემბერს

«დროების» მე 179 №-ში ჩვენ დაბეჭდეთ ქართულის დრამატიული დასის არტისტის, პ. მოხევეს, წერილი, რომელშიაც ავტორი მოკვითხრობს მართლა გასაოცებელს ამბებს შესა-ნებ ქართულის თეატრისა. ჩვენ სა-ბუთი არა გვაქვს ეჭვი ავიღოთ პ. მოხევეს სიტყვებზედ, რადგანაც ქარ-თულის დრამატიულს დასს წარსულს წელს არა ერთხელ მისცემია დაბრ-კოლება დამოუკიდებელ მიზეზების გამო წარმოდგენების გამართვისა და ამისთვის ჩვენ ვესურს ორიოდ სი-ტყვა მოვახსენოთ ჩვენს მკითხვე-ლებს.

საზოგადოდ უნდა ვაღიაროთ, რომ არც ერთი ყოველი ქართული საქმე არა სდგას მკვიდრს ნიდაგზე და ყოველს მათგანს საიდამვე უხილა-ვე მტერი უჩნდება. ჩვენ სურვილი არ გვაკლია რაიმე კეთილი საქმის და-საწყობად, საქმის შედგომაც შე-გვიძლია, მაგრამ მერმე კი საქმე-ხელიდამეფუშვებთ და უკუღმართს ბედს მივანდობთ ხოლმე. მოიგონეთ რომე-ლიმე საქმე ჩვენ მიერ დაწყობილი და, იმედი გვაქვს, დაგვეთანხმებით, რომ ჩვენ გარდამეტებულს არა რას ვამბობთ. ჩვენ ამით დანაშაულად არა ვხდით მხოლოდ ჩვენს თავს, რადგანაც კარგად ვიცით, რომ ყო-ველი საქმის წარმატება დამოკიდებუ-ლია არა მარტო მისსავე დაწყობებ-ზედ, არამედ ზოგიერთა გარეგან მიზეზებზედაც, რომელნიც გულს გიყინებენ, გრძობას გიქრობენ და ხალისს გიკარგვენ კეთილი საქმის საწარმოებლად. ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ ჩვენ კარ-გად ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნე-ლობა აქვს ჩვენის წარმატებისათვის თავისუფალს თვით-მოქმედებას და საზოგადო მოღვაწეობას.

ხუთი, ექვსიოდ წელიწადია, რაც ჩვენ დავაარსეთ წერა-კითხვის საზო-გადოება, ქართული თეატრი, დრა-მატიული საზოგადოება და სხვა. შოველს ამ საქმეს დიდის სიხარულით და იმედებით მივეგებეთ, რადგანაც ჩვენ, ქართველები, საზოგადოდ მკი-რეთი ეკმაყოფილებით; თავის დრო-ზე კარგი ძალი ვილაპარაკეთ, ბევრი ლამაზი და გულწრფელი სიტყვები დაგზარჯეთ; მერმე ყელში გავვიჩნდა რალაცა სენი, რომელიც გვიმლის თავისუფლად სულის ამოთქმას; წერა-კითხვის საზოგადოება ძლივს-ძლივო-ბით აღვამს ფეხს, თუმცა ამ გვარ გაჭირ-ვებულ მდგომარეობაშიაც კოტათი მანტ ახერხებს თავის დანიშნულების შესრულებას; ყოველს გარეგანს გა-რემობასა აქვს მასზე შესამჩნევი გაეღენა და ფრთებსა ჰკეცს. მხო-

ლოდ ქართული თეატრი არსე-ბობდა ამ წლების განმავლობაში მარტო თავის ძალ-ლონზე მინდო-ბილი; თუ მას რაიმე დაბრკოლება ეძლეოდა თავის საქმეში, ეს წარმო-დგებოდა არა რომელიმე გარეგანის გარემოებისაგან, არამედ მისის ში-ნაურ განწყობილებისა და მატრიია-ლურ ხელ-მოკლებებისაგან; მაგრამ ამ გვარ გარემობათაც ვერ მოუღეს თეატრს ბოლო, რადგანაც მის მოქ-მედებას არაფინ არა ჰკეცდა ფრთებ-სა, ავად თუ კარგად ქართულმა თეატ-რმა ისულდგმულა, იშრომა, აღძრა და განამტკიცა საზოგადოებაში თეატ-რისადმი სიყვარული და დაგვარწმუ-ნა, რომ ჩვენში თეატრი შეადგენს აუცილებელს საზოგადოებრივს მოთ-ხოვნილებას; მაგრამ დახედეთ მუხთაღს ბედს! ამ ჟამად ერთს მკირე გარე-მოებას მიუცია ჩვენის თეატრისა-თვის დაბრკოლება; პოლიციის უფ-როსს მოსვლია ქალაქი ვითომც «დრამატიულ საზოგადოებისაგან», რომლითაც ამ უკანასკნელის მმარ-თველობა აცხადებდა, რომ იმის მეტს ვითომ არაფისა ჰქონდეს თეატრალურ-რი წარმოდგენების გამართვის ნება და ვითომც იგი უკრძალავდეს ქარ-თულის დრამატიულს დასს წარმოდ-გენების გამართვას. როგორც აღმო-ჩნდა, დრამატიულ საზოგადოების მმარ-თველობას ამგვარი ქალაქი არაფის-თვის და არას დროს არ მიუწერია. ამ უგვანო საქმის ჩადენა დრამატიულ სა-ზოგადოებისაგან სწორედ შეუძლე-ბელია და არ ვიცით, რა სახელს დაგვარქმევდით მის მოქმედებას, თუ რომ მას მართლაც ჩადენა ამ გვა-რი დანაშაულობა, მაგრამ პოლი-ციის უფროსისათვის მოწერილი ქა-ლალდი მაინც ქალაქად ჩნება და თავის ძალაც უკვე გამოიჩინა; რო-გორცა სჩანს, ვილაცა ზნეობით—წა-ბილწულს ადამიანს განუზრახავს თეა-ტრისათვის დაბრკოლების მიცემა და მიუწერია ქალაქი პოლიციის უფ-როსისათვის დრამატიულ საზოგა-დოების სახელობით. მის მაგიერ, რომ ეს წაბილწული ადამიანი კანო-ნიერს პასუხის-გებას მიეცეს, მის მოწერილობას ძალა მისცემია და არაფის მხრით არ გამოუწვევია შესა-ფერი წინააღმდეგობა; ჰგავს, უცენია მას დრო და ჟამის ხასიათი და დარ-წმუნებული ყოფილა, რომ მის ბინ-ძურს მოქმედებას გასავალი ექნება. თვით დრამატიული საზოგადოება, რომლის უფლებებისა და სახელისათვის შეურაცხება მიუყენებიათ, ყურსაც არ იბერტყავს, თითქო მას სრულიად არ შეეხებოდეს ეს საქმე, თითქო ამ სა-ზოგადოების მმართველობას არ ეს-მის თავის დანიშნულება და მოვა-ლიობა. დრამატიულ დასისათვის შე-

წილის აღმოჩენის და მისივე შეუ-  
რაცხელობის პასუხის გებაში მი-  
ცემის მაგიერ, იგი მისცემია განსვენ-  
ებას და გულ-გრილად შესცქერის  
საქმეს; მას ჰმართებს მხოლოდ ხმის  
ამოღება და იმ ცრუ ქალაქის ძა-  
ლა ერთს წამზე გაქარწყლებს; მაგ-  
რამ ჯერ-ჯერობით ენაც არ დაუძ-  
რავს და ეინ იცის, როდის შეუდგე-  
ბა იგი თავის შეურაცხყოფილის უფ-  
ლების აღდგენას. ჩვენ დარწმუნებუ-  
ნებული ვართ, რომ ქართულს თე-  
ატრს ერთი ვისმეს უკადრისი მოქმედე-  
ბა ვერ მოუღებს ბოლოს და თუ ამდენი  
ვილაპარაკეთ ამ საქმეზე, ვილაპარაკეთ  
მხოლოდ იმისთვის, რომ გვეჩვენებინა  
მკითხველებისათვის, თუ როგორ მოქ-  
მედებენ ქართულს საქმეზე სხვა და  
სხვა ბინძური განძრახვანი.

**შინაური ქრონიკა**

შარშან ამ დროს რომ სკო-  
პინის ბანკი გაკოტრდა, ამ ამბავმა  
ბევრი ჩვენგანიც შეაწუხა, რადგან  
ბევრსა ჰქონდა ამ ბანკში შეტანილი  
ფული სარგებლით. ამ პირთათვის,  
ვგონებთ, საინტერესო იყო შემდე-  
გი ცნობა სკოპინის ბანკის გარემოე-  
ბაზე. საკონკურსო გამგობა აცხა-  
დებს, რომ ამ ბანკის საქმეები ორ  
წელიწად-ნახევარზედ აღრე არ გაი-  
წმინდება და მაშინ, იმედია, ფულის  
მიმბარებელთა მანათხედ სამი შაური  
მანც აიღონ, ე. ი. 15%, დღემდის  
კი 31%-ზედ ზევით ვერაფერს მიი-  
ღებენ.

ამ ზაფხულს მოგზაურობდა  
ქაეკასიაში რუსი ბ. პავლოვსკი ეკ-  
ლესიებისა და სხვა ქრისტიანობის  
ძველის ნაშთების განსახილველად.  
მოგზაურობის დროს ბ. პავლოვსკის  
გაღუღია ბევრი ფოტოგრაფიული სუ-

**«დროების» ჭეღვანეტი, 14 სექტემბ.**

**ტყის მფარველობა კავკასიაში.**

ახლანდელს დროში ჩვენს საზო-  
გადოებას ეტყობა, რომ მან შეიგნო  
ტყის საჭიროება და თვალ-ყურს აღევ-  
ნებს მის საქმეს; მაშასადამე, ჩვენს  
აზრით, უადგილო და უმნიშვნელო  
არ იქნება რამდენიმე სიტყვა ითქვას  
ამ საგანზე. ამისათვის საჭიროა გან-  
ვიხილოთ შემდეგი გარემოება.

ტყის მეურნეობის დაცემა, მცენა-  
რეობის გაზარება და მრავალთა ლი-  
რულ ნადირთა გაწყვეტა იმოდენად  
ბუნების მიზეზების ბრალი არ არის,  
რამოდენათაც თვით ადამიანისა, მის  
თვალ-ზარბობისა, გაუქმდრობისა და  
იმ სიმდიდრის ბოროტად ხმარებისა,  
რომელიც ტყეშია დაცული.

თავიდა-თავი ბოროტება ის არის, რომ  
მეპატრონეთა მოქმედება—კერძო პი-  
რია მეპატრონე, თუ სახელმწიფო  
დაწესებულება—უკონტროლოდ რჩე-  
ბა, არ ისჯება, ყურს არაფერს უგდებს

რათები, რომელნიც გამოტენილი  
იქნებიან ამ ზამთარს პეტერბურგში  
პუბლიკისათვის.

**წერილები რედაქტორთან.**

**I**

**ბ. რედაქტორ!**

თქვენს გაზეთის მე 146-ე №-ში  
იყო დაბეჭდილი პასუხი ბ. ხელაუკის  
შესახებ ახალ-სენაში პარალელურ კლას-  
ების გაშრობისა. მართლაც, როგორც  
სწერს ბ. ხელაუკი, ისრე იყო: კანონისა  
30-ს მეტი არა უოფილა და ამის გამო  
50 კაცი დაჯიხით უბატონოდ ჩვენი  
ბავშვებით. არ ვიცნობთ, რა გეგმა, სა-  
შუალება არა გეგმანდა, სადმე შორს  
წაგვეყვანა ჩვენი შვილები და ამიტომ  
მასვე ესთხოვეთ რჩევა და გვირჩია, რომ  
თუ შეიძლება წელიწადში 20 მანეთის  
გადახდას სათითოდ, შეიკრებინათ სა-  
მომცი კაცი და შეიძლება მოსამზადებე-  
ლი პარალელური კლასი გახსნათ. ჩვენ  
იმავე დღეს შევადგინეთ 60 კაცი. მან  
გამოანგარიშა ხარჯი; დაუნიშნა ჯამა-  
გირი მასწავლებელს 600 მანეთი, სახ-  
ლის ქირა 250 მანეთი, მუბელის ფასი  
200 მანეთი, სტორაჟისა 120 მანეთი,  
შეშისა 50 მანეთი, შესდგა სულ 1200  
მანეთი ხარჯი. ჩვენ თხოვნა მივართვით  
ყოველად-სამდგელოდ და მან გადავიწყ-  
ვიტა გახსნა კლასისა და ფულიც დაუ-  
ყოვნებლად მივართვით ბ. ხელაუკს  
ხელაუკს. კლასი გაიხსნა 1882 წ. დამ-  
ლევის, ოქტომბერში და დაიხურა ივ-  
ნისის დამდგეს 1883 წ. ამ დროებაში  
საშობად და სახადგომად თითო თვე  
სახლში იყვნენ ჩვენი შვილები, ორი თვე  
რომ გამოკვლავთ სუთი თვე დაჩნება  
სწავლის დრო და არა ერთი წელიწადი.  
დეკემბერში მასწავლებლები რომ დაითხო-  
ვეს, დაუბარებინათ მათთვის კიდევ სუთ-  
სუთი მანეთი შემოიტანეთ და ესეც დაუ-  
ყოვნებლად შეიტანეთ; სულ შესდგა ჩვე-  
ნი ფული 1500 მანეთი და არ ვიცი ვა

და თუ არსებობს კონტროლი, —არ-  
სებობს მართო ქალაქზედ, ან გარი-  
შის სხვა-და-სხვა უსარგებლო ფორ-  
მებში და არა ადგილობრივი, თვით  
ტყის შემოწმებაში. ამ გვარი კონტ-  
როლი სრულიად უსაგნო, შეუსაბა-  
მო და ტყის საქმის დამღუპელია.  
ამაში, რასაკვირველია, დამნაშავენი  
არაიან პირველად ხელმძღვანელები,  
მეპატრონენი და ხაზინა, მეორედ  
ტყის-მცველები, ანუ დარაჯნი და  
მესამედ, ცოტად თუ ბევრად, მხმარე-  
ბელნი და მყიდველნიც.

1) მამულის პატრონები ყოველთვის  
იმას ფიქრობენ, მართო იმასა ცდი-  
ლობენ, რომ უშრომლოდ, შეუწუ-  
ხებლად—რაც შეიძლება—ბევრი ფუ-  
ლი აიღონ და ამისათვის ჰყიდიან  
ტყეს და აძლევენ სახმარებლად დაუ-  
ღევრად, უზომოდ, საღცა და როგორც  
მოხვედბათ; ტყის ჯიშს არაფერს იკ-  
ვლიყვს, არაფერს ყურადღებას არ აქ-  
ცევს რამდენი რა მასალა და რა ნა-  
წილებში მოაქრევიონ ტყე. ტყის  
მეპატრონენი, ანუ მათი მოურავები,

სად წავიდა ეს ფული. ერთი მასწავლებ-  
ლის მეტი არა უოფილა; ცუცხლი ჩვენ  
ბავშვებს არ უნახავს ზამთარში და სე-  
დამხედველმა მასწავლებელს ნაცვლად 600  
მანეთისა, მისცა 450 მან. სახლის ქი-  
რა, ნაცვლად 250 მანეთისა, მისცა 200  
მანეთი, მუბელის ქირა ნაცვლად 200 მ-  
ნეთისა—130 მანეთი, სტორაჟის ქი-  
რა ნაცვლად 120 მანეთისა—60 მანე-  
თი, შეშა 24 მანეთისა—სულ 864 მ-  
ნეთისა, თუნდ კიდევ 900 მან. ვიანგა-  
რიშოთ; სხვა 600 მანეთი რა-ღა იქნა?  
რადგან ჩვენი კლასი დასურა და უბატ-  
ონოდ დაჭერა ჩვენი ბავშვები, რასაგ-  
ვირველია მოკითხოვეთ ბ. ხელაუკს ან-  
გარიში ჩვენი ფულისა. ჩვენ ვიყავით  
50 კაცი, გავეუზუნეთ ორი კაცი ბ.  
ხელაუკს და ესთხოვეთ მომხმარებელიყო-  
და გამოცხადებინა ჩვენი მისეზი  
სკოლის დასურვისა; ზედამხედველი მო-  
ვიდა და გვითხრა, ბძინება არის და და-  
სურეთ. ჩვენ გვიხდოდა შეკვეთა, თუ  
კიდევ ფული საჭირო იქნებოდა, მოგვე-  
მარტებინა, მაგრამ მეტი ვერა გავიგეთ  
რა. მაშინ ესთხოვეთ ბ. ხელაუკს ჩვენი  
ფულების ანგარიში მანც მოკვს და ის  
ბძინება წავეითა ჩვენთვის; მან გავ-  
ხაზნა კაცი და მოატანინა საქმის ქა-  
ლაღდი და რადაც წავითხა. მეც ეს ქა-  
ლაღდი სთხოვა ბ. გაბუნამ, ჩვენმა  
წარმომადგენელმა, იმან წავითხა პირ-  
ველი ქალაღდი და მეორე რომ გადა-  
ახრუნა, ადგა უნდად ხელაუკი და  
გამოატარა გაბუნის ხელიდან ქალაღდი  
და დაიძახა: «ამის წავითხა შენი საქმე  
არ არის, მე თქვენ არაფერს ანგარიშს  
არ მოგცემთ, კიდევ მხეცები უოფილ-  
ხართა. და სხვ. უხედელისა და უგანო  
ქვეყის გამო უოვლად - სამდგელოდ მი-  
ვართვით ქალაღდი, მაგრამ ჯერ არ  
გავიგია, რა განკარგულება ინება.

ხეტაგი ვიცნობთ სხვაგანაც სკოლის  
ზედამხედველები ანგარიშს საიდუმლოდ  
რადმე სთვლიან, თუ არა?

ერთი ამა მასწავლელთაგანის მშობელი  
მანუხარ ადამია.

3 სექტემბერს 1883 წ.

ფასს იმდენს იღებენ, რამდენიც თა-  
ვიანთ ქეიფია. შემძლე მყიდველს  
უფრო მეტს ფასს ართმევენ, ვიდრე  
ლარიბებს. არც ერთს მეპატრონეს  
არ მოეპოვება არც ტყის პლანი და  
არც შეიძლება ჰქონდეს ვისმე ეს  
ლოკუმენტი, რადგანაც თითქმის ყვე-  
ლა ტყეები სადაოდ არიან დარჩე-  
ნილნი და ჯერ არც გაზომილან.  
მართის სიტყვით, არაფერს არაფითარი  
სისტემა არა აქვს და როგორც მოხ-  
ვედბათ ისე ჰყიდიან და აძლევენ ტყეს  
სახმარებლად. პრათუ მართო კერ-  
ძო ტყის პატრონები, არამედ თვით  
სახელმწიფო დაწესებულებანიც ამ  
გვარადვე იქცევიან: ისინიც, რო-  
გორც პირველნი, მართო იმას ცდი-  
ლობენ, რომ ხაზინას ტყეებიდამ ბევ-  
რი შემოსავალი ჰქონდეს და ქა-  
ლაღლზედ სასიამოვნო, კარგს მდგო-  
მარეობაში იყოს ნაჩვენები ტყის მე-  
ურნეობა\*)—სხვას არაფერს ფიქრო-  
ბენ. ისინიც იმისთანა ნაწილებში აძ-

\*) იხ. 90 და 100 №№ „Юридическое Обозрение“-სა.

ბ. რედაქტორ! მისცემით თუ ჩემო-  
ნილესის თხოვნისა, — რამდენიმე წე-  
რიდს ადგილი უბოძოთ თქვენის პატი-  
ოსნად ცნობისა გაზეთში.

საქმე ის არის, რომ ჩვენში, მოსამ-  
სახურებში, საკვირვლად აღძრულია წიგ-  
ნის კითხვის სურვილი, მაგრამ ჩვენის  
ისეც მცირის ჯამაგირისაგან არ შეგვიძ-  
ლია რიგისი წიგნები ვიყიდოთ და გა-  
ზეთები გამოვიწყოთ. ამისათვის საჭი-  
როა, რომ ქართული წიგნთ-საცავი გაი-  
მართოს მოსამსახურეთათვის. ეს ჩემის  
აზრით «წიგნთ-კითხვის გამავრცელებელმა  
საზოგადოებამ» უნდა იკისროს, და რაც  
ძველი და ახალი წიგნებია, ერთად მო-  
ავრკოყოს. ამას რომ ყურანდება და  
დღიური გაზეთებიც დაუშობოთ, საგ-  
მაო იქნება და ცოტათი მანც შეკვირ-  
ვით კითხვას. ეს მართო მოსამსახურე-  
ბისათვის იქნება და თუ იქნადნა რაგან-  
შიც წავიდებენ, კიდევ უკეთესი, რასაგ-  
ვირველია ამ განსხვავებით რომ მოსამ-  
სახურებისათვის უფრო იაფი ფასი უნ-  
და იყოს ხელის მოწერისა. ადებსაც თუ  
ურჩევთ, რომ თავიანთ მოსამსახურებს  
ნება მისცენ წიგნის კითხვისა, არ იქნე-  
ბა ურთგო. არა ერთსელ უოფილადრ დამ-  
სწრე, როცა ბატონი და, მეტადრე, ქალ-  
ბატონი დასწყვიდა თავის მოსამსახუ-  
რეს, რომელსაც წიგნი ეჭირა ხელში:  
«ამა გაცხნდა, წიგნის კითხვაც მო-  
მინდომე! თუ კითხვა გინდოდა მოჯამა-  
გირედ რადა დგებოდიო?» ამ გვარი სცე-  
ნები სრულიად დაუგანგავს კაცს კითხ-  
ვის ხადისს. ადებმა არ იციან, რომ ცო-  
ტათი ნასწავლი და სასიამოვნოა უფ-  
ლი მოსამსახურე უფრო სარგებლობას  
მოუტანდა «აღას», კიდრე უსწავლელი.  
რომ მოსამსახურებში კითხვის და წიგ-  
ნის სწავლის სურვილი მეტად აღძრუ-  
ლია, ეს იქიდან გამომყვს, რომ, როცა  
ჩამკარდნია ხელში პატრონ რიგისი მოთ-  
ხრობა ან გაზეთები და ამხანაგებში წა-  
მიკითხავს, ერთობ განხრებიათ და კითხვა  
დაუწყვიათ: სად იყიდება და ან რა-  
გორ ჭევიდინ ანუ წიგნისაო.

ლევნ ნებას ტყის ქრისას და ხმა-  
რებისას, სადაც ოფიციალოურად ნება  
არა აქვთ მიცემული. ტყის ველებს  
აძლევენ საძოვრად და სახნავედ დაუ-  
ფიქრებლივ, მოუსაზრებლივ, თავის-  
უფლად, სადაც მოხვედბათ. ამის  
გარდა არ უნდა დავივიწყოთ, რომ  
ეს დაწესებულებანი სამ რიგად ახდე-  
ვინებენ მომხმარებელთ ტყის ხმარე-  
ბის ფასს: საზოგადოდ მყიდველებს  
ახდევიებენ სრულს ხაზინისგან გარ-  
დაწყვეტილს ფასს, ჯარებს, გზათა  
მმართველობათა და სხვა სახელმწი-  
ფო დაწესებულებათ ნახევარ ფასს,  
სახაზინო გლეხებს, ქვრივებს, ობლებს  
და ცეცხლისგან დაზარალებულებს  
უფასოდ აძლევენ ხე-ტყეს\*).

მსთქვით, ქაეკასიის არმიამი ათი-  
ათასი კაცია და ოთხს ზამთრის თვე-  
ში თითო სულზე საჭიროა ორი დე-  
რი შეშა, — რამდენი უნდა მოუზღეს  
ამ ჯარს ხუთ წელიწადში, — ამის გა-

\*) სახელმწიფო ქონებათა მთავარ-მმართველობის საქმეები 1877—1883 წ.

ერთობ უწყობს მისამსახურებს სასამართლოს ქონება, წყაროები რედაქტორთან და კორესპონდენტებთან სოფლის ცხოვრებადამ. არა ერთხელ უფიქრად დამწერე და გამგებნი როცა აღტაცებაში მოუყვანია გაზეთში წაკითხული სასამართლოს წყაროს ან დამკველს (ადვოკატს) სიტყვებს ჩვენი მოსამსახურენი, საზოგადოდ უსწავლელი ხალხია, მაგრამ მათ რომ კაცმა ჭეშოვლადო, მგონი, ყველანი ვითხვას მიჭეოფდენ ხელსა. დასასრულ ვისურვებ, რომ ეს საქმე — ქართულ წიგნთ-საცავის დაარსება — შესრულდეს უფრო და რიგანო მყოფი მოქმედოს. თუ ტუსაგებისათვის მოახსენეს წიგნთ-საცავი, მგონია, მოსამსახურებისათვის უფრო საჭირო იყო, ამ გვარი დაწესებულება.

ერთი მოსამსახურეთაგანი.

**რუსეთი**

— **ზაზ.** «მარშალის კურირი» იწერება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუწყებიათ პროექტი შესახებ სამკურნალო საშუალებათა გაიყვებისა იმ აზრით, რომ გლეხობისთვისაც ადვილი შეიქმნას ამ საშუალებათა მოპოვება.

— **ზაზ.** «Temps-ს» სიტყვით, ოქტომბრის პირველს რიცხვებში პეტერბურღში მოხდება მკურნალთა კრება, რომელსაც მარტო ხოლერა და მისი მოსაობის საშუალებანი ექნება მოლაპარაკების საგნად. ამ კრებაში მონაწილეობას მიიღებენ ისეთი წარჩინებულნი პირნიც, როგორნიც არიან: შარკო, პასტერი, ძონი, ლასენი და სხვ.

— რუსულს გაზეთებში იწერებიან: «მაშინ, როდესაც წრეულ სამოქალაქო სასწავლებლებში შესვლის მსურველნი იმოდენნი არიან, რომ ტყვეც აღარ არის, სამხედრო სასწავლებ-

მოცნობა მკითხველისთვის მიგინდვია.

მოხდება ხოლმე ისიც, რომ სახელმწიფო დაწესებულებანი საკმაოდ ხე-ტყეს არა ჰყიდიან, არ აძლევენ მომხმარებლებს და ამის გამო მომხმარებელნი იძულებულნი ხდებიან, ჩუმად, ქურდულად ჰკაფონ ტყე და იხმარონ; ამ გვარი ტყის ხმარება — ტყისთვის კი რა მოგახსენოთ და ხაზინისთვის სასარგებლოა, რადგანაც ტყის წესდების ძალით, ვინც ნებადაურთავად ტყეს მოსჭრის, ერთი სამად, ერთი ექვსად ჯარიმა გადახდებათ და ამ «ხრიკით» ხაზინას ბლომა ფული შემოსდის.

2) მეორე ტყის გამაზანებელნი არიან ტყის მცველნი, რომელთაც ჯამაგირი იმდენი არ ეძლევათ, რომ სახარბიელო იყოს და შეეძლოთ წესიერად ცხოვრება. შეიძლება შეუტდომლოდ ითქვას, რომ არც ერთს ფესვის მხრერელს ქიას, არც ერთს მწერს იმოდენა ენება არ მოაქვს ტყისთვის, რამდენიც ამათ, განსა-

ლებში სრულიად იმის წინააღმდეგი მოვლენა ხდება. ალექსანდროვის ძადეტის კარბუსში, რომელიც აქამდენ იღებდა გარემგებრადოთ ყველა წოდების ყმაწვილებსა, წრეულ მესულთა რიცხვი ისე მცირეა, რომ პარალელური კლასები დაკეტეს, რადგანაც საჭირონი აღარ არიან; ნიკოლაევის საკავალერიო მოსამზადებელ სასწავლებელში წრეულ ახლად არც ერთი შეგირდი არ შესულა».

— **ზაზ.** შევეული გაზეთი «სიმართლე» გვაუწყებს, რომ უმაღლეს სასწავლებლო მთავრობათა განკარგულებით სასწავლებლებში ახლად მიღებული შეგირდები ორს პირველს თვეების განმავლობაში უნდა გამოიცადნენ და ამ გამოცდამ უნდა აღმოაჩინოს — საკმაოდ არიან ისინი მომზადებულნი იმ კლასებისთვის, რომლებშიაც მიღებულნი არიან, თუ არაო. თუ რომელიმე შეგირდი საკმაოდ მომზადებული არ იქნება, მაშინ პედაგოგიურმა რჩევამ უნდა გადაიყვანოს ის შემდეგს დაბალ კლასში და თუ იქ ადგილი არ არის, სულ უნდა დაითხოვოს სასწავლებლიდანაო.

— სასწავლებლების შესახებვე იწერებიან, რომ პეტერბურღში ყველა სასწავლებლებში სულ 290 ვაკანსია ყოფილა და ეგზამენი კი 1839 კაცს დაუჭერია.

— ხმება, ვითომც ფოშტის და ჭეღვერაჭების დებარტამენტი ცირკულიარით ხსნიდეს, რომ უსახელო წერილების გაგზავნა არ იკრძალება. ლეგეის გამგზავნელი უნდა გამოაცხადებინებს თავის ადრესს, უნდა არაო.

**უცხოეთი**

— **ლონდონის, პარიზის და ბერლინის** გაზეთების კორესპონდენტების

კუთრებით ძახეთში; ესენი «ფილოქსერაზედ» უარსენი არიან: აჭრეინებენ საუკეთესო ჯიშის ხეებსა და ერთი საწინახლის ხის მიტანისთვის ნებას აძლევენ გაკაფონ, ვინ იცის, რამოდენი ტყე, რომელიც იმის გატანას უშლის. ამ პატივისცემისათვის, რასაკვირველია, ისინი ფეშქაშს იღებენ მყიდველებისაგან. აგრეთვე ამათვე, მცველების — ბრალოა ლირეულ ნადირების გაწყვეტა, მცენარეობის წახდენა და ყოველ-გვარი ტყის სიმდიდრის გაუფრთხილებელი ხმარება.

შოველივე ესე კარგად იციან ტყის პატრონებმა და სახელმწიფო დაწესებულებათ და სხვა-და-სხვა ზომებს ხმარობენ ამ ბოროტების წინააღმდეგ: კერძო მემამულე მედიატორულის წესით ახდებიან ტყის მცველთა ზარალს, ხაზინაც თავის მხრივ სამჯაგრო წესით ახდებიან, მაგრამ ხშირად ნამდვილს დამნაშავეთ კი არა, არამედ იმ მცველთა, რომელთა ნაწილში არ დაზიანებულა ტყე.

3) მომხმარებელნი, ანუ მყიდველნი.

სიტყვით, თავადმა ბისმარკმა და გრაფმა ძალნოკომ განაახლეს აჭრეის და ბერმანიის 1879 წლის კავშირი კიდევ ექვს წლამდინაო, და შემდეგ გასაჯეს ის საგანი, თუ რა ღონისძიებით შეიძლება მკვიდრს საფუძველზედ დამყარდეს ვაჭრული ურთიერთობა ამ ორთა სახელმწიფოთა შორის, რომელნიც რაღაც ნაირს განუხაზღვრელ მდგომარეობაში არიან, თუმცა კი პოლიტიკურად ისინი ძალიან მტკიცედ არიან შეკავშირებულინი.

— პარიკილამ იწერებიან, რომ იქ ამ დღეებში მინისტრების რჩევა იყოეო და შალამელ-ლაკურმა სთქვა, რომ ჩინეთთან მოლაპარაკება ბოლოს დროს კარგად წაიდაო. შულ-ჭერიმ თავის მხრივ გამოაცხადა, რომ საფრანგეთის მმართველობა არ უნდა დასდევდეს იმას, ჩინეთი რას იფიქრებსო, და მოშველე ჯარი რიგზე უნდა გზავნოს ტონკინშიო. სამხედრო და ზღვის მინისტრებმა ამაზე უპასუხეს, რომ მოშველე ჯარების გაგზავნა ამის შემდეგ აღარ შეიძლება, რადგანაც პალატები არ იძლევიან საჭირო ხარჯსაო.

— **ზამბეტას** ძეგლის დასადგმელად ხელის-მოწერით ფულის შეგროვება ძალიან კარგათ მიდისო — იწერებიან გაზეთებში. **ზაზ.** «საფრანგეთის რესპუბლიკა» ბექდაეს შეწირული ფულის ვრცელს ანგარიშს და ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ სექტემბრის დამდეგს 278,000 ფრანკზე მეტი ფული ყოფილა შემოსული.

— **მსანაიური ზაზ.** «პროგრესი» ერთს თავის წერილში, სახელად «მოთხთა კავშირი», სწერს: «კორტესები არ დამტკიცებენ იმისთანა კონვენციას, რომელიც მსანაის ვალდებულს ჰყოფს პესტრიის და ბერმანიის კავშირს შეუერთდეს». შემდეგ გაზეთი და ურთავს, რომ ლიბერალური კორტესები უწი-

ამათთვის სულ ერთია: სად, როგორ და რომელი ხე მოსჭრან ტყეში. ამათი ცდა ის არის, რომ ხე-ტყე მოიპოვონ — რაც შეიძლება ბლომად და იმისთანა ადგილას, საიდანაც გამოტანა გასაჭირი არ იქნება; ისინი მხოლოდ იმას ცდილობენ, რამდენიც შეიძლება, მეტი მოგება ჰქონდეთ ხე-ტყეში — სხვა არა აწუხებთ — რა; ყოველთვის კარგად იციან, რა უფრო იაფად დაუჯდებათ — კერძო მემამულესაგან ბილეთის აღება, თუ სახელმწიფო დაწესებულებათაგან. თუ ხაზინისაგან იღებენ ბილეთს, პირველად ტყის მედარაჯეთ, მეტყვეთ ურიგდებიან, რასაკვირველია, ფარულად; კერძო ტყეების დარაჯი კი ყოველთვის იმისთანა პირია, რომელმაც თავის საკუთარ სარგებლობას გარემე არა იცის — რა. ძეგლი პირთა ტყეებში კი თვით მემამულენივე ნიშნავენ თანაწილად ტყის მცველებს, ან იჯარით აძლევენ ზოგს ტყის ნაწილებსა ისევე რომელსამე ტყის მპატრონეთაგანს.

ასე თუ ისე, ნამდვილია მხოლოდ

ნააღმდეგებენ ყოველს კავშირს, რომელიც ხალხის უმრავლესობას უწყობს სიამოვნებაო.

— ჩვენი გაზეთის გუშინდელს №-ში მოყვანილი იყო ცნობა, რომ სულთანმა მიიღო სასახლეში ბერმანიის ელჩი **ჟონ-რადოვიცი**. ამის თაობაზე დღეს მოსულს გაზეთებში ვკითხულობთ უფრო ვრცელ, ცნობებს რომლებიც განაცხანს, რომ სულთანს მეგობრულად ულაპარაკნია რადოვიცთან მთელი ორი საათი და ამ დროს მის დიდებულებას წარმოუთქვამს, რომ ტყუილია ის ხმები, რომელნიც მსმალეთის, ჩერნოგორის და რუსეთის მეგობრულს დამოკიდებულებაზე გაერცვლდაო. შემდეგ სულთანმა სურვილი გამოაცხადა, რომ მსმალეთი ყოველთვის მეგობრულს განწყობილებაში იყოს კერმანიასთანაო.

**რომჭოროს დუელი იტალიელ ოქციერთან.**

რომჭოროსთან შისულა ერთი იტალიის კავალერიის პოდპორუჩიკი და მოუთხოვნია პასუხი იმ წერილის შესახებ, რომელიც მეფე ჰუმბერტზედ იყო დაწერილი რომჭოროს გაზეთში. რომჭოროს ეკითხა — თითონ იტალიის მეფემ ხომ არ გამოგზავნა სეკუნდანიტათაო. მჭიციერს მიეგო, რომ ის მეფეს არ გამოუგზავნია, მაგრამ რადგანაც რომჭოროს ჰკიცხავს მეფეს, რომელიც არის ჯარის წინამძღოლი, ამითი ის თვით ჯარსაც შეურაცხყოფსო. რომჭოროს თავის მხრივ ეპასუხნა: მეფე ამასთანავე არის მოთავე სასამართლოებისა, ადმინისტრაციისა და პოლიციისაც, მაშ ახალგაზდა პოდპორუჩიკის თეორიით შეუძლიანთ მოსთხოვონ მას დაკმაყოფილება ყველა მოხელეებმა იტალიის მეფისამ, იმ მეფისამ, რომელსაც საფრანგეთმა 2,000,000 მისცა ისკიაში დაზარალებულების სასარგებლოდ და რომე-

ის, რომ იმ წესებისგან, როგორნიც ეხლა არსებობენ, ტყის მეურნეობა ფრიად სამწუხარო მდგომარეობაშია. მს გარემოება იმით მტკიცდება, რომ ტყის სიმდიდრე დღითი-დღე ილევს, კლებულობს არამც თუ შიბლისის, არამედ შუთაისის გუბერნიისშიც და განსაკუთრებით სუხუმის მაზრაში, სადაც სრულიად აღარ მოიპოვება აღარც ძველსიური ბზა, აღარც შავი ხე და აღარც გემების საკეთებელი ტყე. ის პირნი, რომელთაც ესმით ტყის საქმე, ხმას არ იღებენ და არ უნდათ რაიმე შემწეობა ამოუჩინონ თავიანთ გონიერული საბუთებით, გამოცდილებით, მეცნიერულის რჩევით და სხ. საზოგადოდ ტყის საქმის მდგომარეობა იმ სახით, რა სახითაც ის დღევანდლამდინ არის, შეიძლება შევადაროთ შემდეგს მათემატიკურს დასკვნას: საინტენერო, ტყის და გზათა გამგებანი სულ ერთად აღებულნი ეთანასწორებიან საზოგადოდ ტყის ცარცვა-აოხრებას და საქმის დაუდევრად მოპყრობას.

ტყის მცველი პ. სემენენკო.

ლიც მადლობას იმითი უხდის, რომ ბერმანის იწვევს მის გასაწყლელად. პოდპორუჩიკმა ამახდელ ველარა უთხრა...

პენინა თ. მრისთავისაგან ახლათ გახსნილს ღვინის საზღაფში იყიდება საშაქარო კახური ძველი ღვინო...

წიგნები

ისყიდება წიგნის მაღაზიაში—უფილისში: ბრიჭურავთან ძუკის ხიდის-ყურზე, ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ, შიჭინაძესთან ლორის-მელი-ქოვის ქუჩაში, მესხიევის სახლში, ფოსტის ახლოს.—ჭუთასში: შილაძის წიგნის მაღაზიაში.

- 1) ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები. ნაწილი პირველი. შასი ექვსი შაური.
2) მეფე ღირი, ტრაგედია შექსპირისა, თარგმნილი ივ. მაჩაბლისა და ილ. შავჭავჭავაძისაგან. შასი სამი აბაზი.
3) ანტონოვის თხზულებანი (კომედიები). შასი ერთი მანეთი.
4) ქართული ანდაზები, შეკრებილი პეტ. შიკაშვილისაგან. შასი ორი შაური.
5) გაცია-ადამიანი, მოთხრობა ილ. შავჭავჭავაძისა. შასი ორი აბაზი.
6) ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები. შასი ერთი აბაზი.
7) გრიგოლ ორბელიანის ლექსები. შასი ექვსი შაური.
8) დედანი საწერი, შედგენილი პეტ. შიკაშვილისაგან. შასი სამი კაპიკი.
9) დავითიანი, ლექსები დავით ბურაშიშვილისა. შასი ერთი მანეთი.

განსხვავებული

სასტუმრო (გოსტინიცა)

„იხალა“

ნიკოლაევის ქუჩაზე, მორაქოვის ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად ჩემს საკუთარს სახლში.

ნომრები მშვენიერად მორთულია ელექტრიკის დასარკვის ზარით და მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა აქვს ბუფეტი. შასი ნომრებისა, საქმელებისა კარტით და სასმელებისა ნაკლებია.

სასტუმროს ჰატრონი ბ. სარქისოვი. (30—4)

ქალი-ექიმი

ა. ი. უჩარბინისა

მიიღებს ავად-მყოფებს დილით 10 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე მინაილოვის ქუჩა. ხ.ხ. № 91 (ქალაქის ლაზარეთის პირ-და-პირ). (8—6)

ქალაქ ქუთაისში იმსმ კუჭაპას მაღაზიაში მიღებულია გარეზე ქვეყნიდან მრავალ გვარნი რკინის კრავოტები სხვა-და-სხვა ზომის (однопальные и двухпальные) ძრიელ მშვენიერნი და აგრეთვე იაფნი. (5—5)

500 კრავოტი.

კრავოტების უიდვამდის სასარგებლოა და კეთილ გონიერებაჲ მოითხოვს ინანოს რავდენობა ინგლისის მაღაზიისა არტურნის გაღერეიაში № № 156, 157, 158 და 160 და ამ ნომრებს უენადდება მიექცეს. (10—8)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

Table with 2 columns: შეადარეთ ჩვენი ჩაი, მოსკოვის ჩაის. Rows include prices for 1 lb, 2 lb, 3 lb, 4 lb, 5 lb, 6 lb, 8 lb, 10 lb.

ჩვენი ისყიდება სხვა საქონელიც: თაფლი, რკინაქულები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასადებები, დახები, გოგონები, ტაშტები, კაღები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნიზია, უნაგირები, ვლეინგა, წინდები—გაცის და ქაღის, სელ-სასხეცები, მაკინტოშინ კაღენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პრანცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსაჲ მაღაზიაში.

ვინც ქაღაქს გარკვამ 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდე საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ის-დის. (100—34)

სტამბა

მშობივე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის კვლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ქურნალებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სწოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და ადნინულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრექტურის გასწორებას და ბროშურების გაკეთებას, უკეთუ ზაგზის მომკვმნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომხართათ.

თიფლის, типография Ефимія Ив. Хеладзе. (100—18)

ინგლისის მაღაზიაში

თინს-აპოპოვანი

გაპ-გასტარი




ამაგრებს თმს და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუმი-სა 2 მან., გავსავით 2 მანეთი და 28 კაპ.

ჩვენი ისყიდება ქინის ჰომოპათიების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სწოტები თავის ტვიფელს მოსასმობლად, ტუალეტის სანაპონი, დუხები და სხვ.

(100—40)

საგლობუსო



კალმები

რომლებიანც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი, კრთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აწარმოებული სხვა-და-სხვა გვარის კალმები, უოკლის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინც სხვაგან. იქვე: მუხანი, ქაღალდი, განკრები, რკინაქულები, დაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაწნიკები, ჰორტოსივარები, ალბომები, რამები, მავრატლები, სამარტებები, სანთელი, სალესი, ცარაშეები ჭურჭლების საწმედად (ბორაგისი), თეთრუფლისათვის, შატარა ხაღვი იატაკისათვის კლიონები, ტანტები, სავარძლები, სარკები, სავარჯლები, ბუნკონი, ზარები, ბინოკლები რუფეტები, ვატერპასები, მზის-სათები, კომპასები, ტერმომეტრები, ტერმომეტრები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, ჰომოჩი, ქამრები, სარტულები. საყუდური, პრობები, საპრობები, კრანები, ფილტრები, შხოტები, თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტის მკანტოშები, კრავები, საქმიამ ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშქი—20 კ.

(100—81)

გაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე 1883 წ.

- გამომცხვარი ჰური რუ-სუთის ფქვილისა — 1 გირ. 5 კ.
აჭურის ფქვილისა: პირ-კვლის ხარისხისა — 1 ბ. 2 1/2
მეორისა — 1 ბ. 2 ბ.
იმვე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:
პირველის ხარისხისა — 1 ბ. 5 კ.
მეორისა — 1 ბ. 3 კ.
მესამისა — 1 ბ. 2 1/2

ჟვარის-მამის ჰური:

- პირველის ხარის. ღავაში 1 ბ. 5 კ.
მეორის ხარის. ღავაში 1 ბ. 3 კ.
მესამისა — 1 ბ. 2 1/2

ძრახის ხორცი:

- პირველის ხარისხისა — 1 ბ. 8 კ.
მეორის — 1 ბ. 7 კ.
სუვი . . . — 1 ბ. 15 კ.
ცხვრის ხორცი — 1 ბ. 8 კ.

რკინის გზა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდან ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან
თბილისიდან ბაქოსკენ 11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.
ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდან მომავალი შემოდის თბილისში 7 საათ. და 49 წამ. დილისა.